



საჯარო სამართლის იურიდიული პირი –
განათლების ხარისხის განვითარების
ეროვნული ცენტრის დირექტორის
ბრძანება



MES 7 20 00418616



29/05/2020

"ავტორიზაციისა და აკრედიტაციის ექსპერტა შერჩევის, საქმიანობისა და ექსპერტა კორპუსის წევრობის შეწყვეტის წესის დამტკიცების შესახებ" სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2018 წლის 06 მარტის №170 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის 2020 წლის 23 მაისის №403220 სამსახურებრივი ბარათის გათვალისწინებით, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 14 სექტემბრის №89/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დებულების“ მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „ნ“ ქვეპუნქტის საფუძველზე,

ვბრძანებ:

1. შეტანილ იქნეს ცვლილება „ავტორიზაციისა და აკრედიტაციის ექსპერტა შერჩევის, საქმიანობისა და ექსპერტა კორპუსის წევრობის შეწყვეტის წესის დამტკიცების შესახებ“ ცენტრის დირექტორის 2018 წლის 06 მარტის №170 ბრძანებაში და ბრძანების პირველი პუნქტით დამტკიცებული „ავტორიზაციისა და აკრედიტაციის ექსპერტა შერჩევის, საქმიანობისა და ექსპერტა კორპუსის წევრობის შეწყვეტის წესის“ მე-4 მუხლის 2¹ პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2¹. უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის ექსპერტა კორპუსის წევრ უმაღლესი განათლების ექსპერტა შერჩევის პროცედურა მოიცავს შემდეგ ეტაპებს:

ა) ცენტრის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით ღია კონკურსის გამოცხადება;

ბ) განაცხადის წარდგენა, რომელსაც უნდა დაერთოს კვალიფიკაციის/განათლების დამადასტურებელი დოკუმენტ(ებ)ი, ავტობიოგრაფია (CV) ორი რეკომენდატორის მითითებით;

გ) წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლა და გადარჩევა შესაბამისი მოთხოვნების გათვალისწინებით;

დ) ტრენინგების ჩატარება;

ე) კანდიდატთა ტესტირება;

ვ) გასაუბრება;

ზ) კონკურსის შედეგების ინდივიდუალურად გაცნობა;

თ) კომისიის ოქმის საფუძველზე, ცენტრის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით, შერჩეულ კანდიდატთა შეყვანა ექსპერტთა კორპუსში.“.

2. დაევალოს ცენტრის საქმისწარმოების სამმართველოს ბრძანების დაინტერესებული პირებისათვის კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობის უზრუნველყოფა.

3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის.: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ., №6) კანონმდებლობით დადგენილ ვადაში და წესით.

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული
ცენტრი
დირექტორი
მახარაშვილი თამარ

